

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლია ოტიაშვილი

ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები საქართველოს
უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მაგალითზე

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ვალერი მოსიაშვილი

რეცენზენტები:-----

დაცვა შედგება 2019 წლის ----- „-----“ -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----
----- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი -----

Resume

Dissertation work, which deals with “Improvement of financial management on the example of higher education system of Georgia”, analyzes the role of financial budgeting of higher education institutions of Georgia. The dissertation work evaluates economic efficiency of financial management and defines directions for development of the financial security system of higher education institution and ways of improvement in modern conditions. The work consists of 123 pages and, in accordance with the "Instructions for Adopting the Doctor's Academic Degree", includes: title page, subscriptions page, copyright page, resume, content, a list of tables, a list of drawings, main text and the list of used literature. The main text consists of the judgment and conclusion of the introduction, the review of literature, the researches and the results.

In the introduction: the importance of the research topic is substantiated, the goal of the research is described; the research subject and object, research methods and methodology, scientific news are substantiated. Moreover, the practical and theoretical importance of research is substantiated and approbation, publications, volume and structure are given.

The review of the literature answers the questions, such as: where the problem, given in the dissertation work, comes from; what is already known about this problem; which methods are used to solve existing problems and which alternative methods are used in this dissertation work.

The results and their judgment are presented in three chapters (10 paragraphs).

In the first chapter, concerning "Theoretical and Methodological aspects of the Budgeting Organization of Higher Education Institutions", Ancient age and Soviet systems of education, sources of funding and distribution of expenses are described. Moreover, higher education reform and post-reform periods, education funding sources, in both public and private educational institutions, are reviewed.

This chapter deals with the financial policy that is focused on attracting financial resources, one of the most important priorities of which are the strengthen the financial conditions of higher education institutions and their investment environment. Based on critical assessment of the authors' views of used literature, it should be noted that value and cost analysis are especially important for non-state education institutions.

It is differentiated that those educational institutions, that carry out paid educational activities and compete with each other, risk to get into two extreme situations. The decrease of educational cost (in order to attract students) may lead to a sharp lowering of teaching quality. The increase of educational cost, may lead to student's sharp outflow in other higher education institutions. This will lead to the decrease of income and losing of financial condition.

In the second chapter, concerning "Methodological Principles of Formation of Financial Structure of Higher Education Institutions Under Reform", the role of financial budgeting in the management system of higher education institutions of Georgia is reviewed and analyzed. In the present work, the innovative way of education is analyzed.

It is described, which changes have been made in terms of state funding of higher education as well in Georgia, as in different countries. The issues of increased challenges, which require more effective state (budgetary) funds and attraction of various non-state sources, is also described.

Based on the study and analysis of higher education institutions of Georgia, it is established that the main priority for higher education institutions is to improve the quality of education and the financial and economic conditions, for which they constantly seek to be economically independent and maintain financial sustainability, for which one of the main and main leverage is budgetary funds.

It is established that the existence of the financial management system is necessary. Optimization of financial planning of its activities is the main factor in the development of universities in the market economy. The main basis of financial planning is its budgeting. At the same time, the main task of the budget is to enhance the effectiveness of the university activities, identifying risks and reduce their level, as well as enhancing its financing flexibility.

The third chapter- "Modeling of Financial Flows in Budgeting of Higher Education Institution" – concerns to the modeling of financial flows at the higher education institution's budget and the preparation of appropriate methodological recommendations.

The same chapter describes the importance of the strategic plan of higher education institutions. The strategic plan of the University provides for the selected path to achieve its main objectives.

Objectives are mainly based on the concept of the university concept and strategic development plan. Strategy includes choosing alternatives for the university development. Depending on the strategy strategy, universities should create specific goals and objectives for educational, scientific, financial and other activities.

Firstly, strategic success depends on the University's potential, effective management system, including the quality of financial policy and management.

The conclusion briefly establishes the major results, conclusions and recommendations, which can be used in higher education activities, in the field of competitiveness, as well as in the activities of educational and scientific institutions

თემის აქტუალობა. საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარებას საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია, რომელიც ვითარდება საბაზრო ეკონომიკის და გლობალიზაციის პირობებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას, წინ უძღვოდა საქართველოში განვითარებული საოჯახო სწავლება.

თანამედროვე განათლების სისტემა დასაბამს იღებს XXI-ე საუკუნიდან და არსებობას განაგრძობს ცვალებად საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რეფორმირებას განიცდის ურთულესი რისკების გარემოში და ქვეყანაში განვითარებული არასტაბილურობის ფონზე.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საჭიროებენ საფინანსო სისტემის და საბიუჯეტო სახსრების რეგულირებას, რომელთა ეფექტიანი და სწორი მართვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონკურენციას, რაც უპირობოდ უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ზრდას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადობის შენარჩუნებას. სამომხმარებლო ბაზარზე ცივილიზებული კონკურენცია საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრესული განვითარებისთვის აუცილებელიც არის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა და ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიმართულებების და სრულყოფის გზების დანერგვა განაპირობებს თემის აქტუალობას და ავტორისთვის წარმოადგენს საკვლევ თემის შერჩევას აქტუალურ საკითხს.

საკვლევ თემა აქტუალობას იძენს უმაღლესი განათლების რეფორმის შემდგომი პერიოდისათვის, 2005 წლიდან როდესაც საქართველო მიუერთდა ბოლონის პროცესს.

საკვლევ თემის „ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხების შესწავლა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მაგალითზე“ მიმართ ინტერესის გაძლიერება გამომდინარეობს ქვეყანაში

მიმდინარე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ რეგულაციებით, რომლის საფუძველზეც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უწევთ მკაცრ კონკურენტულ და ეკონომიკურ გარემოში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რისთვისაც უნდა განახორციელონ ფინანსური რესურსების ეფექტიანად მართვა, კერძოდ:

- ✓ უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური სტრუქტურის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის მიმართულებების დანერგვა;
- ✓ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიმართულებების და სრულყოფის გზების შექმნა;
- ✓ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფინანსური ნაკადების მართვა მათემატიკური მოდელის გამოყენებით.

საქართველოში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე სასურველია გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილება.

გამომდინარე საკვლევი თემის აქტუალობიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხების დაუმუშავებლობამ განსაზღვრა კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მეცნიერული სიახლე.

სადისერტაციო კვლევის მიზანიდან (უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის ანალიზი) გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომში სიახლის სახით შემოგვაქვს და რეკომენდაციას ვიძლევი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფინანსური ნაკადების მართვა მათემატიკური მოდელის გამოყენებით დაინერგოს პრაქტიკაში.

დისერტანტის მიერ დადგენილია საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსური სტრუქტურის ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული სიახლეების დანერგვის აუცილებლობა. კერძოდ:

1. განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მართვის ორგანიზაციული და ფუნქციური ურთიერთდაკავშირება, დაგეგმვიდან მის პრაქტიკულ განხორციელებამდე;

2. შემუშავებულია „უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მოდელის“ სქემის ავტორისეული ვერსია, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულების წარმატებულ ფუნქციონირებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას;

3. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოგვაქვს ფინანსური მართვის მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას მისცემს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უზრუნველყონ ფინანსური ნაკადების ეფექტიანი/წამატებული მენეჯმენტის, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს მათ ფინანსურ მაჩვენებლებს;

4. ჩატარებული კვლევის - „საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა“ - საფუძველზე, გამოვავლინეთ, რომ აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილის და სტუდენტების აფსოლიტური უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას სასწავლო დაწესებულების ბიუჯეტის შესახებ; არ არიან ინფორმირებულნი თუ რა მოცულობის ფინანსური რესურსი იხარჯება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ კვლევით და სასწავლო საქმიანობაში; სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყონ საკუთარი საფინანსო სისტემის/პოლიტიკის გამჭვირვალობა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტირების პროცესში მონაწილეობა მიიღოს აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა;

5. საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განხორციელდეს დაფინანსების არსებული მოდელის მოდიფიცირება ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს სასწავლო გრანტი, მაგრამ შემოღებულ იქნეს სასწავლო დაწესებულებებში ბლოკ-გრანტებით დაფინანსების სისტემა, როგორც მსოფლიო სასწავლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა მოწმობს, ეს შესაძლებელს გახდის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის შეიქმნას კონკურენტუნარიანი და სტაბილური გარემო.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო კვლევის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე სრულყოფის საკითხების დანერგვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტირების ორგანიზაციის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

დასახული მიზნის მიღწევამ მოითხოვა საკვლევ თემაში შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

- ✓ უნივერსიტეტის ფინანსური ნაკადების გაანალიზება;
- ✓ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსების საფუძვლების თეორიული ტენდენციების გააზრება;
- ✓ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სფეროში ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური საფუძვლების დაზუსტება;
- ✓ კონკურენციის არსებული დონის შეფასება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული განვითარების მოდელის გაანალიზება;
- ✓ საგანმანათლებლო სფეროში კონკურენციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების დამუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია კონკურენცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. კვლევის საგანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა ძირითადად ისტორიულ და სისტემურ მიდგომას, შედარებითი ანალიზის მეთოდს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდს, სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის მეთოდს;

პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდს, შემთხვევის შესწავლის მეთოდიკას.

ისტორიული მეთოდი - გამოყენებული გვაქვს პირველ თავში, რომელშიც აღწერილი გვაქვს თუ საიდან იღებს დასაბამს საქართველოში საგანმანათლებლო სისტემა. განხილულია, როგორც საქართველოს, ასევე, ჩეხეთის, პოლონეთის და უნგრეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და მეთოდები;

პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდი გამოყენებული გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მეორე და მესამე ქვეთავში, სადაც აღწერილია აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვისას გამოვლენილი პრობლემები. აღწერილი გვაქვს რეალურად არსებული და აგრეთვე მოსალოდნელი პრობლემის დაძლევის გზები, რომელიც შესაძლებელი იქნება ფინანსური ნაკადების მართვის მათემატიკური მოდელის გამოყენებით;

ანალიზის მეთოდი - გავანალიზეთ ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხების მიმართ არსებული რისკები. რისკების ანალიზის მეთოდი საშუალებას მოგვცემს და დაგვეხმარება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის და SWOT ანალიზის შემუშავებისას მართებულად და გონივრულად იყოს შემუშავებული ფინანსური ნაკადების მართვის მოდელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მაქსიმალურად რისკები.

ანალიზის მეთოდის გამოყენებისას დავედით ინდუქციური მეთოდით გაანალიზებამდე, რომლის შემდგომაც დავინახეთ, რომ ძირითადად კერძო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში (კერძო სამართლის იურიდიული პირი) შეიმჩნევა მეტწილად საფინანსო სისტემის გლობალური პრობლემა და შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ ეტაპისთვის არ არიან მზად თანამედროვე გამოწვევების წინაშე.

მაგრამ დედუქციის მეთოდით ზემოთთქმული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამოიყენებენ ფინანსური ნაკადების მართვის მათემატიკურ მოდელს.

კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები - პოსტსაბჭოური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის და უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს სრულყოფის გზები კვლევის თეორიული საფუძველია აგრეთვე საერთაშორისო, ადგილობრივი და ნორმატიული დოკუმენტები, აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციებზე გაწეული რეკომენდაციები.

კვლევის ემპირიული ბაზა - ძირითადად მოიცავს საქართველოს, როგორც კერძო ისე საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს; ქართველი და უცხოელი ავტორების კვლევებსა, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში გამოქვეყნებულ მასალებს; ინტერნეტ რესურსებს; ინსტიტუციონალურ დოკუმენტებს და დისერტანტის ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო.

დისერტანტის მიერ ჩატარებული კვლევისას გამოვლენილი სიახლეები და პრობლემები რეკომენდაციების სახით გამოქვეყნებულ იქნა ავტორის მიერ სხვადასხვა სტატიებში, აგრეთვე მოხსენებულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და 10 ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან და მთლიანობაში კომპიუტერული ნაბეჭდი 123 გვერდისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალში დისერტანტის მიერ ჩამოყალიბებულია თემის აქტუალობა; კვლევის მიზანი და ამოცანები; კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია; კვლევის თეორიული საფუძვლები; ჩამოყალიბებულია კვლევის მეცნიერული სიახლეები და შედეგები.

დადგენილია, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საჭიროებენ საფინანსო სისტემის და საბიუჯეტო სახსრების რეგულირებას, რომელთა ეფექტიანი და სწორი მართვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონკურენციას, რაც უპირობოდ უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ზრდას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადობის შენარჩუნებას.

ლიტერატურის მიმოხილვაში ნათლად არის ჩამოყალიბებული თუ საიდან მომდინარეობს დისერტაციაში დასმული პრობლემა; რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ; რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადაჭრისათვის; რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „*უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტირების ორგანიზაციის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები*“ - აღწერილია ანტიკური ხანის და საბჭოთა კავშირის პერიოდის საგანმანათლებლო სისტემა, დაფინანსების წყაროები და აგრეთვე ხარჯების განაწილება. ნაშრომში, აგრეთვე წარმოდგენილი არის უმაღლესი განათლების რეფორმამდე და რეფორმის შემდგომი პერიოდი, განათლების დაფინანსების წყაროები, როგორც საჯარო ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღნიშნულ თავში განხილულია ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული არის ფინანსური რესურსების მოზიდვაზე, რომლის ერთ-

ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობისა და მათი საინვესტიციო გარემოს განმტკიცება.

გამოყენებული ლიტერატურის ავტორთა შეხედულებების კრიტიკული შეფასების საფუძველზე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირებულების და ფასის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

გამიჯნულია ერთმანეთისაგან ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (სტუდენტების შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს სტუდენტების მკვეთრი გადინება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგომარეობის შესაძლო დაკარგვას.

აღნიშნულ თავში ჩამოყალიბებულია ფინანსური უზრუნველყოფის რეფორმირების საერთაშორისო ტენდენციები ჩეხეთის, პოლონეთის და უნგრეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და მეთოდები.

ჩეხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წყაროებია:

ა) **ბლოკური გრანტი**¹ (the block grant) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასწავლო, აკადემიური, სამეცნიერო, კვლევითი და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად;

ბ) სუბსიდიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გ) სწავლის საფასური;

¹ განკუთვნილი არის სპეციფიური პროგრამების დასაფინანსებლად.

- დ) დაწესებულების საკუთრებაში არსებული ქონებიდან შემოსავალი;
- ე) შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან.

გრანტი გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან აკრედიტირებული პროგრამის განსახორციელებლად. სამინისტრო გასცემს ბლოკურ გრანტს თავისი ანგარიშიდან დაწესებულების ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის საშუალებით, ხოლო დაწესებულება წლის ბოლოს უგზავნის მას ბალანსს დარჩენილი ბლოკური გრანტიდან. სამინისტრო დარჩენილი ბლოკური გრანტის გაუქმების დადგენილებას გამოსცემს, თუ პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია აქტივები (assets), რომელიც მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას. საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივებს განკარგავს რექტორი და განკარგვაში მონაწილეობს აგრეთვე სამეურვეო საბჭო. აქტივებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ძირითადად იყენებს თავისი ძირითადი (სასწავლო, აკადემიური და კლევითი) და დამატებითი საქმიანობის (ადამიანური რესურსების მართვა) შესრულების მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ანგარიშვალდებულია განათლების მინისტრის წინაშე გრანტების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად გამოყენებისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მინისტრს წარუდგენს წლიურ ანგარიშს.

რაც შეეხება პოლონეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს 90 % ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი 10 % კი დამატებითი წყაროებიდან მოდის. ხოლო დანარჩენს დამატებით ფინანსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს კვლევების, რეცენზიების, სწავლების გადასახადების, დიპლომების სერთიფიკატების და სხვა დოკუმენტების გაცემით შემოსული თანხების და კუთვნილი შენობების იჯარითი გაცემის საშუალებით. აუთვისებელ თანხებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განკარგავს თავისი სურვილისამებრს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესზე განკუთვნილი თანხების 70% გამოიხნული არის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასებისთვის, ხოლო დანარჩენი 30 % მოდის სამეცნიერო საქმიანობის და კვლევების უზრუნველყოფაზე, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მაგალითზე.

პოლონეთის განათლების სამინისტრო გასცემს ინვესტიციებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების შესანახად და სტუდენტების საერთო საცხოვრებლით და კვების უზრუნველსაყოფად.

უნგრეთის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ფინანსდება ძირითადად ბიუჯეტიდან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება იგეგმება განათლების სამინისტროს საბიუჯეტო განყოფილებაში.

ჩამოყალიბებულია რამდენიმე ფუნდამენტური სტრატეგიული საკითხი, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო და უმაღლეს სასწავლებლებში: როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, როდესაც ქვეყანაში მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი და სახელმწიფო ბიუჯეტი არის დეფიციტური, როგორ უნდა გამოიყოს შეზღუდული ფინანსური რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის რათა შეძლონ ამ უკანასკნელებმა გლობალიზაციის პირობებში შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

განათლების სისტემის რეფორმის შემდგომი პერიოდისათვის მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმები, უზრუნველყოფილ იქნეს დაფინანსების გამჭვირვალობა, ინვესტიციების მოზიდვა, მნიშვნელოვანია აგრეთვე გაუმჯობესდეს სახელმწიფო ფინანსური კონტროლი და აღმოიფხვრას საბიუჯეტო შეზღუდვები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დაწესებულებების სფეროში ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური საფუძვლები მიზნად უნდა ისახავდეს

განათლების სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული პრობლემები არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ გაიზრდება, რომელიც მნიშვნელოვნად შეანელებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. პრობლემების მოგვარებისთვის უმნიშვნელოვანესია ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდებზე გადასვლა, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და მათი გამოყენების ეფექტურობას.

უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლის, როგორც ინსტიტუციურ, ასევე ხარისხობრივ ხელმისაწვდომობას. როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოს ფინანსური ძალა ამკარაა, რომ ფინანსური ასპექტები ყველაზე მოწყვლადია უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაში.

მეორე თავში - „უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსური სტრუქტურის ფორმირების მეთოდოლოგიური პრინციპები რეფორმირების პირობებში“ - განსაზღვრულია ფინანსური ბიუჯეტირების როლი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში. წინამდებარე ნაშრომში ჩამოყალიბებულია თუ რა ინოვაციური გზა განვლო საგანმანათლებლო სფერომ.

აგრეთვე ჩამოყალიბებულია თუ რა ცვლილებები განხორციელდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების კუთხით, როგორც საქართველოში ასევე სხვადასხვა ქვეყნებში, განსაზღვრულია ის საკითხი, რომ გაიზარდა გამოწვევები საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც მოითხოვს უფრო ეფექტურ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრებს და სხვადასხვა არასახელმწიფო წყაროების მოზიდვას.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძირითადი ამოცანაა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე ფინანსური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რისთვისაც მუდმივად ისწრაფიან, რომ იყვნენ ეკონომიურად

დამოუკიდებლები და შეინარჩუნონ ფინანსური მდგრადობა, რომლისთვისაც ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ბერკეტია საბიუჯეტო სახსრები.

დადგენილია, რომ აუცილებელია უნივერსიტეტებში უფრო ეფექტური ფინანსური მართვის სისტემა არსებობდეს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტების განვითარების მთავარი ფაქტორია მისი საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის ოპტიმიზაცია. ფინანსური დაგეგმვის ძირითადი საფუძველია მისი ბიუჯეტირება. ამავდროულად, ბიუჯეტის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, რისკების იდენტიფიცირება და მათი დონის შემცირება, ასევე მისი დაფინანსების მოქნილობის გაზრდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძირითადი ამოცანა არის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე ფინანსური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მუდმივად ისწრაფიან, რომ იყვნენ ეკონომიურად დამოუკიდებლები და შეინარჩუნონ ფინანსური მდგრადობა, რომლისთვისაც ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ბერკეტი არის საბიუჯეტო სახსრები. დღეისათვის მწვავე საკითხად დგას უნივერსიტეტების ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები, რომელთა საქმიანობის ეფექტურობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას. აუცილებელია უნივერსიტეტებში უფრო ეფექტური ფინანსური მართვის სისტემა არსებობდეს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტების განვითარების მთავარი ფაქტორია მისი საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის ოპტიმიზაცია. ფინანსური დაგეგმვის ძირითადი საფუძველი არის მისი ბიუჯეტირება. ამავდროულად, ბიუჯეტის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, რისკების იდენტიფიცირება და მათი დონის შემცირება, ასევე მისი დაფინანსების მოქნილობის გაზრდა.

სამომავლო პერსპექტივაში ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იქნება უნივერსიტეტებისათვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ ჯანსაღი ფინანსური სტრუქტურები და სტაბილური შემოსავლები, შეძლებენ განახორციელონ მრავალრიცხოვანი მისიები და მოახდინონ რეაგირება არსებულ გამოწვევებზე რთულ და გლობალურ გარემოში. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის მიზნები მიღწეულ იქნეს და არსებული ინვესტიცია გამოყენებულ იქნეს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში, ხოლო შემოსავლების დივერსიფიკაცია მიზნად ისახავს ამ მიზნების მიღწევას.

ფინანსური მდგრადობა არის დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი.

საგანმანათლებლო ბაზარზე მზარდი კონკურენციისა და გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა შეესაბამებოდეს ახალ მკაცრ მოთხოვნებს. უდავოდ აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის კვალიფიკაციის ამაღლება და პერიოდულად დატრენინგება, რომლის მიზანიც არის მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება. განათლების მომსახურების ეფექტიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აისახება შემდგომ კურსდამთავრებულების ცოდნის განხორციელებაზე, რომელიც მათ მიიღეს სწორედ ამ მომსახურეობით.

ფინანსურ სტაბილურობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განაპირობებს თანხების სწორად გამოყოფა და გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას და გადახდისუნარიანობობის შენარჩუნებას, რომლისთვისაც ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს განათლების მომსახურების ბაზრის მდგომარეობა, აგრეთვე კრიტიკულად უნდა აფასებდეს საკუთარ პოზიციას ბაზარზე,

ვინაიდან არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გაფართოებამ გამოიწვია კონკურენცია მომსახურების ბაზარზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა შესაძლებელი არის ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური მაჩვენებლის გამოთვლის მეშვეობით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებული არის საფინანსო მენეჯმენტზე და ფინანსურ რესურსებზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსების მართვა ხორციელდება ფინანსური მენეჯმენტის შემდეგი პრინციპით: დაგეგმვა, პროგნოზირება და მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზნებია ეფექტურობის შეფასება, ფინანსური რესურსების გამოყენების მიზნობრიობის შესწავლა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

მესამე თავი - *„ფინანსური ნაკადების მოდელირება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბიუჯეტირებისას“* - ეხება ფინანსური ნაკადების მოდელირებას უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბიუჯეტირებისას და შესაბამისი მეთოდური უზრუნველყოფის რეკომენდაციების მომზადებას.

ამავე თავში აღწერილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობა. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მისი ძირითადი მიზნების მისაღწევად შერჩეულ გზას და როგორ შეუძლია მიზნების მიღწევა კონკურენტუნარიანი ფაკულტეტების მქონე უნივერსიტეტს ბაზარზე კონკურენტებთან ურთიერთობების დამყარება. მიზნების მიღწევა ძირითადად ემყარება უნივერსიტეტის კონცეფციასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სტრატეგია მოიცავს უნივერსიტეტის განვითარების ალტერნატიული გზების არჩევას. სტრატეგიის პოზიციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან კონკრეტული მიზნები და ამოცანები საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ფინანსურ და სხვა საქმიანობაზე.

სტრატეგიული წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია უნივერსიტეტის პოტენციალზე, ეფექტურ მენეჯმენტურ სისტემაზე, მათ შორის ფინანსური პოლიტიკისა და ფინანსური მენეჯმენტის ხარისხზე.

უნივერსიტეტების ფინანსური პოლიტიკა მიზნად არ ისახავს, მხოლოდ იმას, რომ მიიღონ საუკეთესო ფინანსური შედეგები, არამედ ორიენტირებულნი არიან მომავალში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ბაზარზე მოთხოვნადი და მაღალი ხარისხის მომსახურების მომგებიანობის გაზრდის გზით.

ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს:

- მიმდინარე ხარჯების და კაპიტალის ინვესტიციების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- შემოსავლის მაქსიმიზაცია და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა;
- უნივერსიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა;
- ბიზნესის დაგეგმვის ინსტრუმენტების გამოყენება (მათ შორის საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამები და პროექტები);
- ბაზარზე არსებული პროექტებისა და პროგრამების ხელშეწყობისათვის საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების გამოყენება;
- საგანმანათლებლო და მასთან დაკავშირებული მომსახურების ფასების მეთოდური მხარდაჭერა.

ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნივერსიტეტის საინვესტიციო პოლიტიკაა. ყველაზე ეფექტიანი საინვესტიციო მიმართულებები და სტრატეგიაა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, უნივერსიტეტის შესაძლებლობებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა და პოზიტიური იმიჯის შექმნა. ეფექტიანი შიდა საუნივერსიტეტო საინვესტიციო პოლიტიკის განვითარება ხელს უწყობს საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას.

ჩატარებულმა „კვლევამ საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა“ გამოკითხულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, აგრეთვე სტუდენტებმა გამოხატეს მოსაზრებები და რეკომენდაციები საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მიაჩნიათ, რომ უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული სტუდენტი უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განაწილებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტი უნდა იყოს გამჭვირვალე ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით.

სასწავლო უნივერსიტეტების გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია სრულყოფილად დააკმაყოფილოს სტუდენტთა მოთხოვნილებები შეზღუდული რესურსების ან გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების არ არსებობის გამო. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არც სტუდენტების გარკვეულ ნაწილს მოსწონთ უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული მომსახურება ან მათ მიერ განხორციელებული აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები. ამის გამო სასწავლო დაწესებულებებს ფინანსური რესურსების უზრუნველსაყოფად უწევთ მიმართონ პიარს, რომელიც დღეს ერთობ ეფექტური გახლავთ ან მიზნობრივ მარკეტინგს, მომსახურების ბაზარზე მიზნობრივი სეგმენტის შერჩევით.

ნაშრომში შეფასებულია ის გარემოება, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად და იმისათვის, რომ სწორედ მიმართონ ფულადი ნაკადები სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე მუდმივად იზრუნონ საკუთარი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შეძლონ კვლევების დაფინანსება, ჰქონდეთ გრანტებისთვის გამოყოფილი ფულადი რესურსები და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრები, მიზანშეწონილია უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა საკუთარი ფინანსური ნაკადების მართვა მოახდინონ მათემატიკური მოდელის გამოყენებით.

ფინანსური ნაკადების მართვისთვის ოპტიმალური მათემატიკური მოდელი უნდა იყოს შერჩეული. იგი უპირველეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოფდეს უწყვეტ სასწავლო პროცესს.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა შემდეგი შედეგი:

1. დაზუსტებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება ფინანსური რესურსების მნიშვნელობა, რომლის დახმარებითაც ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსების ოპტიმალური სტრუქტურაც იხვეწება. ნაშრომში მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ ფინანსური რესურსების მნიშვნელობა და ფინანსური მდგრადობა მომდევნო ათწლეულების განმავლობაში უნივერსიტეტებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იქნება: მხოლოდ ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც გააჩნიათ ჯანსაღი ფინანსური სტრუქტურები და სტაბილური შემოსავლები, შეძლებენ განახორციელონ მრავალრიცხოვანი მისიები და რეაგირება არსებულ გამოწვევებზე სულ უფრო რთულ და გლობალურ გარემოში;
2. საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა ნათლად დაგვანახა, რომ ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნივერსიტეტის საინვესტიციო პოლიტიკაა. ყველაზე ეფექტიანი საინვესტიციო მიმართულებები და სტრატეგიაა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, უნივერსიტეტის შესაძლებლობებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა და პოზიტიური იმიჯის შექმნა. ეფექტიანი შიდა საუნივერსიტეტო საინვესტიციო პოლიტიკის განვითარება ხელს უწყობს საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას;
3. სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნულია, რომ ფინანსური სტრატეგია ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმარების მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პერსპექტიული ფინანსური დაგეგმარება, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტში დაგეგმილი მიზნების მისაღწევად. საინვესტიციო მიმზიდველობისა და ფინანსური მდგრადობის გაზრდის მიზნით, საბიუჯეტო უნივერსიტეტებმა უნდა

შეიმუშაონ ფინანსური სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს დაფინანსების პრიორიტეტულ სფეროებს, ასევე განავითარებს დეპარტამენტების ფინანსურ სტრუქტურას, ზრდის მათ ფინანსურ პასუხისმგებლობას;

4. ნაშრომში დასაბუთებულია, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტები, რომლებიც ჩართულნი არიან კონკურენციის მუდმივ ზრდაში უნდა გააჩნდეთ ახალი მიდგომები და ტექნოლოგიები, მათ შორის ბაზრის ანალიზის უნარი, აგრეთვე საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა ახორციელებდნენ შიდა აუთსორინგს და აუდიტს;
5. აღნიშნულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მიმართავენ მიზნობრივ მარკეტინგს, მომსახურების ბაზარზე მიზნობრივი სეგმენტის შერჩევით. სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტოლოგები ბაზრის სეგმენტაციას ყოველთვის არ ახორციელებენ, ანუ მომხმარებლებს არ ყოფენ სეგმენტებად, ნაწილებად მათი მოთხოვნილებების საფუძველზე. ისინი უმეტესწილად მიმართავენ მასობრივ მარკეტინგს, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო ბაზარზე ერთი ან რამოდენიმე ე.წ. პოპულარული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას, რომლის დროსაც შესაძლებელია სტუდენტთა რიცხოვნობის გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაზე ფასების შემცირება, რის საფუძველზეც სასწავლო დაწესებულებამ შესაძლებელია განიცადოს მაქსიმალური მოგება. მასობრივი მარკეტინგის სტრატეგიით შესაძლებელია სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა;
6. აღნიშნულია ის გარემოება, რომ ქვეყნები გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განათლების სისტემის დაფინანსების წყაროების მიხედვით. უნივერსიტეტების მიერ საჯარო დაფინანსების მოსაპოვებლად ევროპაში მოქმედებს ორი ძირითადი წესი: ბლოკ-გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება;

7. შეთავაზებულია, რომ საქართველოსათვის ალბათ ოპტიმალური იქნება დაფინანსების არსებული მოდელის მოდიფიცირება ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს დაფინანსების სასწავლო გრანტი, მაგრამ ამასთანავე შემოდებულ იქნეს უნივერსიტეტების ბლოკ-გრანტებით დაფინანსების სისტემა. ეს შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტებისთვის როგორც კონკურენტუნარიანი, ასევე სტაბილური გარემოს შექმნას. კარგი იქნება აგრეთვე პარალელურად შემოდებულ იქნეს საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების მექანიზმი, ბლოკ-გრანტების მეშვეობით;
8. შეთავაზებულია ეკონომიკური და მათემატიკური მეთოდების/მოდელების შემუშავება და გამოყენება პრობლემების გადაჭრისათვის, რესურსების ოპტიმალური განაწილების უზრუნველსაყოფად. პერსპექტიული განვითარების ოპტიმალური ვარიანტი ხშირად დაკავშირებულია დინამიური ოპტიმიზაციის პრობლემების გადაწყვეტაში, რომელსაც აქვს დიდი განზომილება და განსხვავებული პირობები.
9. დაზუსტებულია, ფინანსების მართვის ყველაზე ადაფტირებული მეთოდი. ფინანსური ნაკადების მართვის მათემატიკური მოდელის გამოყენება. ნებისმიერი პრობლემის ზუსტი გადაწყვეტა შესაძლებელია თუ პრობლემას მივცემთ ზუსტ ფორმულირებას. ფინანსური ნაკადების მართვა მათემატიკური მოდელის გამოყენებით ახლოს არის რეალურ პროცესებთან. გამომდინარე აქედან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანია დაიხვეწოს და უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში ფინანსური ბიუჯეტირების როლზე და ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხებზე;
10. განხორციელებული კვლევის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური გამჭვირვალობა“ საფუძველზე სასურველი იქნება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყონ საკუთარი საფინანსო სისტემის გამჭვირვალობა, ვინაიდან გამოკითხულთა

უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას თუ რა მოცულობის ფინანსურ რესურსებს ხარჯავს საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევით საქმიანობაში, გამოკითხულთა აფსოლიტური უმეტესობა არ იცნობს ბიუჯეტს და არ იღებს მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის დაგეგმვაში. სასურველია დანერგონ ფინანსური მართვის მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას მისცემთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უზრუნველყონ ფინანსური ნაკადების ეფექტიანი მენეჯმენტი, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს მათ ფინანსურ მაჩვენებელს.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცული იქნა
ორი კოლოქვიუმი

1. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტირების ორგანიზაციის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები - „ 02 “ „03“ 2018 წ.
2. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსური სტრუქტურის ფორმირების მეთოდოლოგიური პრინციპები რეფორმირების პირობებში - „ 20“ „07“ 2018 წ.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია
ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. ეკონომიკა და ბიზნესი (ISSN 1987-5789) – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი (ტომი X, N1; 2017 წ.) - ვალერი მოსიაშვილი, ლია ოტიაშვილი. საგანმანათლებლო ორგანიზაციების არაკომერციული ფინანსების მართვის ზოგიერთი საკითხი გვ. 143
2. Новосибирский государственный технический университет (Новосибирск, Россия) Национальный университет Грузии (Тбилиси, Грузия) Балтийская международная академия (Рига, Латвия) Сакарья Университет (Адапазары, Турция) - ДОБРОСОВЕСТНОСТЬ И ДОБРОСОСЕДСТВО: ВЫЗОВ СОВРЕМЕННОСТИ ТРЕТЬЯ МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ - FINANCES OF MODERN EDUCATION - г. Новосибирск, 18–21 апреля 2017 г - გვ. 153
3. NOVA UNIVERSITY NOVA SCHOOL OF BUSINESS AND ECONOMICS - II INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE THE MODERN TRENDS IN THE DEVELOPMENT OF BUSINESS SOCIAL RESPONSIBILITY - Proceedings of the Conference - Lisbon, Portugal 2018 - ACTUAL ASPECTS OF HIGHER EDUCATION FINANCING POLICIES – 103 გვ.
4. SULKHAN-SABA ORBELIANI TEACHING UNIVERSITY FACULTY OF BUSINESS BLACK SEA RESEARCH INSTITUTE OF ECONOMY AND INNOVATION - INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE INTEGRATION OF BUSINESS STRUCTURES: STRATEGIES AND TECHNOLOGIES - Proceedings of the Conference - Tbilisi – Odessa 2017 - საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის შედარებითი კვლევითი ანალიზი

- პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე (საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი) - გვ.174;
5. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება (ISSN 1987-9977) - თბილისი 2017 - საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფინანსური ასპექტები გვ. 77;
 6. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება (ISSN 1987-9977) - თბილისი 2017 - საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფინანსური ასპექტები გვ. 77;
 7. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება (ISSN 1987-9977) - თბილისი 2017 - გიორგი ცაავა, ლია ოტიაშვილი - საბანკო საქმის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები - თბილისი 2017, გვ. 42;
 8. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება (ISSN 1987-9977) - თბილისი 2018 - საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები გვ.59;
 9. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება „განათლების აკადემია“ საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ერუდიტი“ (ISSN2587-4861) - ფინანსური ბიუჯეტირების როლი საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში გვ.26;
 10. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ (ISSN 1512-0333) – საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო სისტემა, თბილისი 2017 წ. გვ. 20
 11. თბილისის უნივერსიტეტი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები“, თბილისი 2009 წ. - „საკრედიტო რისკი საბანკო სისტემაში“ - გვ. 114;
 12. თბილისის უნივერსიტეტი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაცია და ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები საქართველოში“, თბილისი 2010 წ. - ვადაგადაცილებული სესხების პრობლემა საქართველოში, გვ.65

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - სამეცნიერო კვლევების ჟურნალი - ტომი I, N2, 2018 წ. - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები - გვ. 179
2. ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - „ეკონომიკა და ფინანსები“ - თბილისი 2018 წ. - უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის აქტუალური ასპექტები - გვ.17
3. ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - „ეკონომიკა და ფინანსები“ - თბილისი 2018 წ. - ფინანსური მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში - გვ.134
4. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - სეუ და მეცნიერება - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სეუ 2016 - ფინანსები უმაღლესი განათლების რეფორმების პირობებში;
5. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - სეუ და მეცნიერება - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სეუ - 2017 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის რეფორმირების საერთაშორისო ტენდენციები და მიმართულებები;
6. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - თანამედროვე გამოწვევები, მეცნიერების აქტუალური პრობლემები და ევროინტეგრაცია - თბილისი 2017 წ. - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და პრობლემების გადაჭრის გზები;